

დოკუმენტი დამტკიცებულია უნივერსიტეტის  
რექტორის 2020 წლის 22 ოქტომბრის №მ 70  
ბრძანებით

დოკუმენტში ცვლილებები შეტანილია  
უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 20  
აგვისტოს №მ 150 ბრძანებითა და 2023 წლის 6  
იანვრის №მ 9 ბრძანებით

*შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“  
ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესი*

## სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები.....	3
მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამის ენობრივი კომპეტენციის შეფასების დონეები.....	3
მუხლი 3. ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის მსურველი პირისთვის საგანმანათლებლო პროგრამის ენის ცოდნის დონის განსაზღვრა.....	5
მუხლი 4. ერთიანი ეროვნული გამოცდებით, მობილობის გზით ჩარიცხული სტუდენტისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის უცხო ენის კომპონენტის ცოდნის დონის განსაზღვრა .....	7
მუხლი 5. საერთო სამაგისტრო გამოცდებით ჩარიცხული მაგისტრანტისთვის უცხო ენის კომპონენტის ცოდნის დონის განსაზღვრა .....	9
მუხლი 6. სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი კანდიდატის უცხო ენის კომპონენტის ცოდნის დონის განსაზღვრა .....	11
მუხლი 7. მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი პირის მიერ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ენის დადასტურება .....	13
მუხლი 8. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტისთვის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული უცხო ენის ცოდნის დონის განსაზღვრა .....	14
მუხლი 9. საერთაშორისო სერთიფიკატის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამის ენის ან საგანმანათლებლო პროგრამის უცხო ენის კომპონენტის დონესთან .....	14
მუხლი 10. ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესი.....	15
მუხლი 11. გამოცდის შედეგების გასაჩივრება.....	16
მუხლი 12. დასკვნითი დებულებები.....	16
დანართი №1_გამოცდის პირველი ეტაპის - საუბრის ნაწილის შეფასების კრიტერიუმები.....	17
დანართი №2_გამოცდის მეორე ეტაპის - ესსეს შეფასების კრიტერიუმები.....	21
დანართი №3_სამაგისტრო / სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირის უცხო ენის_გამოცდის პირველი ეტაპის შეფასების კრიტერიუმები .....	22
დანართი №4_სამაგისტრო / სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირის_უცხო ენის გამოცდის მეორე ეტაპის შეფასების კრიტერიუმები .....	25

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესით (შემდგომში - „წესი“) განისაზღვრება:

ა) ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირის, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ენის ცოდნის დონის დადგენის წესი და პროცედურები.

ბ) საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების საფუძველზე უნივერსიტეტში ჩარიცხვის მსურველი პირის მაგისტრანტის/ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე უნივერსიტეტში ჩარიცხვის მსურველი აბიტურიენტის/მობილობის გზით უნივერსიტეტში ჩარიცხვის მსურველი პირის მიერ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ენის ცოდნის დონის დადგენის წესი და პროცედურები.

2. წინამდებარე წესის მიზანია, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველი ან ჩარიცხული პირების, შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი ენობრივი კომპეტენციის დონის დადგენას, აგრეთვე, ენობრივი კომპეტენციის დონის გასაუმჯობესებლად საუნივერსიტეტო მექანიზმების ამოქმედებას.

## მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამის ენობრივი კომპეტენციის შეფასების დონეები

1. ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ენობრივი კომპეტენციის დონის დადგენისთვის, უნივერსიტეტში გამოყენებულია ენობრივი კომპეტენციის ევროპული ჩარჩოს (CEFR) მიერ აპრობირებული კომპეტენციათა დონე, რომლის შესაბამისად, თითოეულ ენობრივ კომპეტენციას შეესაბამება თავისი პირობითი აღმნიშვნელი.

2. ენობრივი კომპეტენციის შეფასების დონეებია:

ა) A დონე- დაწყებითი კომუნიკაციის კომპეტენცია;

ბ) B დონე - დამოუკიდებელი კომუნიკაციის კომპეტენცია;

გ) C დონე - პროფესიული კომუნიკაციის კომპეტენცია;

3. ენობრივი კომპეტენციის დონის შედეგების აღმწერი:

ა) A1 - ნაცნობი, ყოველდღიურად გამოყენებადი გამონათქვამებისა და უმარტივესი წინადადებების გაგებისა და გამოყენების უნარი, რომელთა მიზანსაც კონკრეტული

მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შეადგენს. სხვებისათვის საკუთარი თავის წარდგენისა და სხვების წარდგენის, ასევე ადამიანებისათვის მათ შესახებ კითხვების დასმის უნარი - მაგ.: სად ცხოვრობენ ისინი, რა ადამიანებს იცნობენ ან რა ნივთებს ფლობენ - და ასევე მათზე პასუხების გაცემის შესაძლებლობა. მარტივი კომუნიკაციის უნარი, როდესაც თანამოსაუბრე ნელა და გარკვევით ლაპარაკობს და მზადაა დახმარებისათვის.

ბ) A2 - წინადადებებისა და ხშირად გამოყენებადი გამონათქვამების გაგების უნარი, რომლებიც გარკვეული სფეროების უშუალო მნიშვნელობებთანაა დაკავშირებული (მაგ.: ინფორმაცია პიროვნებისა და ოჯახის, საყიდლების, სამუშაოს, უშუალო გარემოცვის შესახებ). მარტივ, ყოველდღიურ სიტუაციებში კონტაქტის დამყარების უნარი, სადაც ინფორმაციის მარტივ და უშუალო გაცვლაზე და ნაცნობ, ჩვეულ საგნებზეა საუბარი. მარტივი წინადადებებით საკუთარი წარმოშობისა და განათლების, უშუალო გარემოცვისა და უშუალო მოთხოვნილებებთან დაკავშირებული საგნების აღწერის უნარი.

გ) B1 - მარტივი სტანდარტული ენის გამოყენებისას და ნაცნობ საგნებზე, სამუშაოს, სკოლის, დასვენებებისა და ა. შ. სფეროებიდან მთავარი საკითხების გაგების უნარი. მოგზაურობისას წარმოშობილი უმეტეს ენობრივ სიტუაციასთან გამკლავების უნარი. ნაცნობ თემებსა და პიროვნულ ინტერესებზე მარტივად და თანმიმდევრულად საუბრის უნარი. გამოცდილებებისა და მოვლენების გადმოცემის, ოცნებების, იმედებისა და მიზნების აღწერის, გეგმებისა და შეხედულებების შესახებ მოკლე არგუმენტაციის ან ახსნის უნარი.

დ) B2 - კონკრეტულ და აბსტრაქტულ თემებზე შექმნილი კომპლექსური ტექსტების მთავარი აზრის გაგება; საკუთარ პროფესიულ სფეროში ასევე საგნობრივი დისკუსიების გაგების უნარი. სპონტანურად და თავისუფლად კონტაქტში შესვლის უნარი, ისე რომ უცხოენოვან მოსაუბრესთან დიდი ძალისხმევის გარეშე ორმხრივად კარგად წარიმართოს საუბარი. თემების ფართო სპექტრის შესახებ გასაგებად და დეტალურად საუბრის, აქტუალურ საკითხზე საკუთარი პოზიციის გამოხატვისა და სხვადასხვა შესაძლებლობების პრიორიტეტებისა და ნაკლოვანებათა განმარტების უნარი.

ე) C1 - რთული, ვრცელი ტექსტების ფართო სპექტრის გაგებისა და იმპლიციტური მნიშვნელობის წვდომის უნარი. სპონტანურად და თავისუფლად აზრების გამოხატვის შესაძლებლობა, ისე რომ არ არსებობდეს სიტყვების ძებნის ხშირი და აშკარად თვალში საცემი საჭიროება. ენის საზოგადოებრივ და პროფესიულ ცხოვრებაში ან სწავლის პროცესში ეფექტურად და მოქნილად გამოყენების უნარი. კომპლექსურ საკითხებთან დაკავშირებით ნათლად, სტრუქტურირებულად და დეტალურად აზრის გამოთქმისა და ამ პროცესში ტექსტის შემაკავშირებლად სხვადასხვა შესაბამისი საშუალებების გამოყენების უნარი.

ვ) C2 - პრაქტიკულად ყოველივე მოსმენილისა და წაკითხულის მარტივად გაგების უნარი. სხვადასხვა წერილობითი და ზეპირი წყაროებიდან ინფორმაციების შეჯამებისა და მათთან დაკავშირებული არგუმენტაციისა და განმარტებების მწყობრად გადმოცემის შესაძლებლობა. აზრების სპონტანურად, ძალზე თავისუფლად და ზუსტად გადმოცემისა და კომპლექსურ საკითხებზე საუბრისას ფაქიზი ნიუანსების გამოკვეთის უნარი.

4. ქართული ენის ენობრივი კომპეტენციის დონეები განისაზღვრევა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 ივნისის №394 დადგენილებით დამტკიცებული „ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ დანართი №4-ის შესაბამისად.

### მუხლი 3. ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის მსურველი პირისთვის საგანმანათლებლო პროგრამის ენის ცოდნის დონის განსაზღვრა

1. საბაკალავრო, ერთსაფეხურიან ან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველი პირის საგანმანათლებლო პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს გასაუბრების ჩატარებას და აღნიშნული გასაუბრების ვიდეოჩანაწერის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის ხელმისაწვდომობას.

2. ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე პირის ჩარიცხვის მიზნით, პროგრამის ენის ცოდნის დონის დასადგენად, უნივერსიტეტი ატარებს გამოცდას, ადგილზე ან დისტანციური ფორმით.

#### ა) ადგილზე გამოცდა ტარდება ორ ეტაპად:

ა.ა) პირველი ეტაპი - საუბრის მოდული (Speaking Module) წარმოადგენს ერთ-ერთ საკვანძო კომპონენტს. გამომცდელი საუბრის პროცესში აფასებს კანდიდატის ენობრივ კომპეტენციას. გამოცდის დაწყებამდე პირმა უნდა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის მეშვეობითაც გამომცდელი ახდენს პირის იდენტიფიცირებას, რომ პირი ნამდვილად წარმოადგენს გამოსაცდელ პირს. იდენტიფიცირების შემდეგ, გამომცდელი გამოსაცდელს აცნობს გამოცდის წესებს (გამოცდაზე დაუშვებელია: ა) საუბარი, ხმაური, ჟესტიკულაციის გამოყენება; ბ) გამოცდაზე ნაბეჭდი მასალის გამოყენება; გ) მობილური ტელეფონების შეტანა; დ) გამოცდის დასრულებამდე საგამოცდო სივრცის დატოვება ნებისმიერი მიზეზით, გარდა ჯანმრთელობის მდგომარეობით განპირობებულისა. საგამოცდო პერიოდის განმავლობაში, აღნიშნული გარემოებებისა და სხვა საგამოცდო პროცესისთვის შეუფერებელი ქცევის არსებობის შემთხვევაში, პირს პირველ ჯერზე მიეცემა

შენიშვნა, ხოლო განმეორების შემთხვევაში მოიხსნება გამოცდიდან) და იწყებს საგამოცდო პროცესს. საუბრის ნაწილში, გამომცდელი გამოსაცდელს უსვამს B2 სირთულის 10 ღია კითხვას. გამოსაცდელს მოეთხოვება დაახლოებით 2 წუთის განმავლობაში უპასუხოს ერთ კითხვას. საუბრის ნაწილი მიმდინარეობს არაუმეტეს 30 წუთისა. თითოეული კითხვა უნდა ეხებოდეს სხვადასხვა თემას. გარკვეული დოზით, შესაძლებელია მოცემული იყოს სხვადასხვა, მაგრამ ურთიერთდაკავშირებული თემა. გამოცდის პირველი ეტაპის - საუბრის შეფასების მაქსიმალური ქულაა 80, მინიმალური ბარიერი - 50 ქულა (შეფასების კრიტერიუმები იხ. დანართი №1).

ა.ბ) მეორე ეტაპი - საუბრის ნაწილის დასრულების შემდეგ, გამომცდელი გამოსაცდელს აძლევს 20 წუთს წერიტი დავალების შესასრულებლად. წერიტი დავალება გულისხმობს კონკრეტული საკითხის ირგვლივ 100-120 სიტყვიანი ესსეს დაწერას. ნამუშევრის დასრულების შემდეგ პირი ვალდებულია ზეპირად მიმოიხილოს საკითხი. ესსეს შეფასების მაქსიმალური ქულაა 20, მინიმალური ბარიერი - 10 ქულა (შეფასების კრიტერიუმები იხ. დანართი №2).

### **ბ) დისტანციური ფორმით გამოცდა ტარდება ორ ეტაპად:**

ბ.ა) პირველი ეტაპი - საუბრის მოდული (Speaking Module) წარმოადგენს ერთ-ერთ საკვანძო კომპონენტს. გამომცდელი საუბრის პროცესში აფასებს კანდიდატის ენობრივ კომპეტენციას. დისტანციურად გასაუბრება ხორციელდება პროგრამა Skype-ის ან სხვა შესაბამისი პროგრამის მეშვეობით. გამოცდის დაწყებამდე და მისი მიმდინარეობის განმავლობაში, გამომცდელი ვიდეოკამერის მეშვეობით უნდა ხედავდეს გამოსაცდელ პირს. გამოცდის დაწყებამდე პირმა უნდა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის მეშვეობითაც გამომცდელი ახდენს პირის იდენტიფიცირებას, რომ იგი ნამდვილად წარმოადგენს გამოსაცდელ პირს. იდენტიფიცირების შემდეგ, გამომცდელი გამოსაცდელს აცნობს გამოცდის წესებს (გამოცდაზე დაუშვებელია: ა) საუბარი, ხმაური, ქესტიკულაციის გამოყენება; ბ) სხვისაგან დახმარების მიღება ნებისმიერი ფორმით; გ) გამოცდაზე ნაბეჭდი მასალის გამოყენება; დ) მობილური ტელეფონების გამოყენება; ე) გამოცდის დასრულებამდე კამერის გამორთვა;

ვ) გამოცდის დასრულებამდე საგამოცდო სივრცის დატოვება ნებისმიერი მიზეზით, გარდა ჯანმრთელობის მდგომარეობით განპირობებულისა. საგამოცდო პერიოდის განმავლობაში, აღნიშნული გარემოებებისა და სხვა საგამოცდო პროცესისთვის შეუფერებელი ქცევის არსებობის შემთხვევაში, პირს პირველ ჯერზე მიეცემა შენიშვნა, ხოლო განმეორების შემთხვევაში მოიხსნება გამოცდიდან) და იწყებს საგამოცდო პროცესს. დისტანციურად საუბრის ნაწილში, გამომცდელი გამოსაცდელს უსვამს B2 სირთულის 10 ღია კითხვას.

გამოსაცდელს მოეთხოვება დაახლოებით 2 წუთის განმავლობაში უპასუხოს ერთ კითხვას. საუბრის ნაწილი მიმდინარეობს არაუმეტეს 30 წუთისა. თითოეული კითხვა უნდა ეხებოდეს სხვადასხვა თემას. გარკვეული დოზით, შესაძლებელია მოცემული იყოს სხვადასხვა, მაგრამ ურთიერთდაკავშირებული თემა. გამოცდის პირველი ეტაპის - საუბრის შეფასების მაქსიმალური ქულაა 80, მინიმალური ბარიერი - 50 ქულა (შეფასების კრიტერიუმები იხ. დანართი №1).

ბ.ბ) მეორე ეტაპი - საუბრის ნაწილის დასრულების შემდეგ, გამომცდელი გამოსაცდელს აძლევს 20 წუთს წერითი დავალების შესასრულებლად. წერითი დავალება გულისხმობს კონკრეტული საკითხის ირგვლივ 100-120 სიტყვიანი ესსეს დაწერას. ესსე უნდა შესრულდეს Skype-ის მეშვეობით, გამომცდელთან გახსნილ სასაუბრო ფანჯარაში. წერის დასრულებისთანავე პირი ვალდებულია გამომცდელს სასაუბრო ფანჯარაში გაუგზავნოს შესრულებული ესსე და ამის შემდეგ ზეპირსიტყვიერად მიმოიხილოს მის მიერ შესრულებული ნამუშევარი. ესსეს შეფასების მაქსიმალური ქულაა 20, მინიმალური ბარიერი - 10 ქულა (შეფასების კრიტერიუმები იხ. დანართი №2).

3. საგანმანათლებლო პროგრამებზე ენის ცოდნის დადგენის გამოცდის საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებენ ის პირები, რომელთა ენობრივი კომპეტენცია აღწევს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ცოდნის დონეს.

4. პირი უფლებამოსილია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ენის ცოდნის დონე დაადასტუროს ამ წესის მე-9 მუხლით განსაზღვრული საერთაშორისო სერტიფიკატის წარმოდგენის გზით, პროგრამისთვის განსაზღვრული უცხოური ენის დონის შესაბამისად. საერთაშორისო სერტიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს უნივერსიტეტში ჩარიცხვის მსურველი პირისათვის მხოლოდ გასაუბრების ჩატარებას და ვიდეოჩანაწერის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის ხელმისაწვდომობას.

**მუხლი 4. ერთიანი ეროვნული გამოცდებით, მობილობის გზით ჩარიცხული სტუდენტისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის უცხო ენის კომპონენტის ცოდნის დონის განსაზღვრა**

1. ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტის მიერ, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული უცხო ენის

დონის განსაზღვრის მიზნით უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ტესტირების ჩატარებას<sup>1</sup>. ტესტირების შედეგების საფუძველზე, სტუდენტს განესაზღვრება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის უცხო ენის ცოდნის დონე.

2. ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩარიცხულმა სტუდენტმა გამოცდის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის მეშვეობითაც საგამოცდო ცენტრის წარმომადგენელი ახდენს პირის იდენტიფიცირებას, რომ აბიტურიენტი ნამდვილად წარმოადგენს გამოსაცდელ პირს. იდენტიფიცირების შემდეგ, საგამოცდო ცენტრის წარმომადგენელი გამოსაცდელს აცნობს გამოცდის წესებს (გამოცდაზე დაუშვებელია: ა) საუბარი, ხმაური, ქესტიკულაციის გამოყენება; ბ) გამოცდაზე ნაბეჭდი მასალის გამოყენება; გ) მობილური ტელეფონების შეტანა; დ) გამოცდის დასრულებამდე საგამოცდო სივრცის დატოვება ნებისმიერი მიზეზით, გარდა ჯანმრთელობის მდგომარეობით განპირობებულისა. საგამოცდო პერიოდის განმავლობაში, აღნიშნული გარემოებებისა და სხვა საგამოცდო პროცესისთვის შეუფერებელი ქცევის არსებობის შემთხვევაში, აბიტურიენტს პირველ ჯერზე მიეცემა შენიშვნა, ხოლო განმეორების შემთხვევაში მოიხსნება გამოცდიდან. აბიტურიენტის გამოცდიდან მოხსნის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამის უცხო ენის შესაბამის დონეზე სწავლა სტუდენტს განესაზღვრება ამ მუხლის მე-3 პუნქტის პირობების შესაბამისად) და იწყებს საგამოცდო პროცესს.

3. ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტი, რომელსაც ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე აქვთ ჩაბარებული ის უცხო ენა, რომელსაც ირჩევს საგანმანათლებლო პროგრამის უცხო ენის კომპონენტის ფარგლებში, მაგრამ არ გამოცხადდა უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ გამოცდაზე, საგანმანათლებლო პროგრამის უცხო ენის დონე განესაზღვრება A1<sup>2</sup> დონიდან.

4. თუ სტუდენტს ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული აქვს პროგრამის სავალდებულო უცხო ენის კომპონენტისგან განსხვავებული უცხო ენა, უცხო ენის ცოდნის განსაზღვრის მიზნით უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ამ მუხლით განსაზღვრული წესის შესაბამისად აბიტურიენტისთვის ტესტირების ჩატარებას. თუ აბიტურიენტი არ გამოცხადდება უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ გამოცდაზე უცხო ენის დონის განსაზღვრის მიზნით, მას საგანმანათლებლო პროგრამის უცხო ენის კომპონენტზე სწავლება განესაზღვრება A1<sup>3</sup> დონიდან.

<sup>1</sup> ენის დამდგენ ტესტში განსაზღვრულია უცხო ენის ცოდნის შესაბამისი დონის განმსაზღვრელი კონკრეტული ქულის მინიმალური ზღვარი.

<sup>2</sup> სტუდენტი უფლებამოსილია სწავლის დაწყებამდე არაუგვიანეს 4 (ოთხი) კვირის ვადაში მიმართოს უნივერსიტეტს განცხადებით უცხო ენის დონის განსაზღვრის/ცვლილების მიზნით ამ წესის მე-8 მუხლის შესაბამისად.

<sup>3</sup> სტუდენტი უფლებამოსილია სწავლის დაწყებამდე არაუგვიანეს 4 (ოთხი) კვირის ვადაში მიმართოს უნივერსიტეტს განცხადებით უცხო ენის დონის განსაზღვრის/ცვლილების მიზნით ამ წესის მე-8 მუხლის შესაბამისად.



5. მობილობის გზით ქუთაისის უნივერსიტეტში ჩარიცხულ სტუდენტს, რომელსაც არ უღიარდა ქუთაისის უნივერსიტეტის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული უცხო ენა სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების ფარგლებში, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული უცხო ენის დონის განსაზღვრის მიზნით უტარდება ტესტირება. ტესტირების შედეგების საფუძველზე, სტუდენტს განესაზღვრება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის უცხო ენის ცოდნის დონე. ტესტირების ჩატარების წესი განისაზღვრება ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ გამოცდაზე სტუდენტის არ გამოცხადების შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის უცხო ენის დონე განესაზღვრება A1<sup>4</sup> დონიდან.

6. ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული აბიტურიენტი, ასევე უფლებამოსილია პროგრამის უცხო ენის დონე დაადასტუროს ამ წესის მე-9 მუხლით განსაზღვრული საერთაშორისო სერტიფიკატის წარმოდგენის გზით. წინამდებარე პუნქტი მოქმედებს უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული დასავლური (ინგლისური, რუსული, გერმანული, ფრანგული, ესპანური) ენების მიმართ.

#### მუხლი 5. საერთო სამაგისტრო გამოცდებით ჩარიცხული მაგისტრანტისთვის უცხო ენის კომპონენტის ცოდნის დონის განსაზღვრა

1. საერთო სამაგისტრო გამოცდებით ჩარიცხვის მსურველი პირის უცხო ენის ცოდნის დონე დგინდება შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე, უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული მისაღები უცხო ენის გამოცდის შედეგებით ან შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებით გათვალისწინებული ენობრივი კომპეტენციის საერთაშორისო სერტიფიკატის წარმოდგენის გზით.

2. გამოცდის დაწყებამდე მაგისტრანტმა უნდა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის მეშვეობითაც გამომცდელი ახდენს პირის იდენტიფიცირებას, რომ მაგისტრანტი ნამდვილად წარმოადგენს გამოსაცდელ პირს. იდენტიფიცირების შემდეგ, გამომცდელი გამოსაცდელს აცნობს გამოცდის წესებს (გამოცდაზე დაუშვებელია: ა) საუბარი, ხმაური, ჟესტიკულაციის გამოყენება; ბ) გამოცდაზე ნაბეჭდი მასალის გამოყენება; გ) მობილური ტელეფონების გამოყენება დ) გამოცდის დასრულებამდე საგამოცდო სივრცის დატოვება ნებისმიერი მიზეზით, გარდა ჯანმრთელობის მდგომარეობით განპირობებულისა. საგამოცდო პერიოდის განმავლობაში, აღნიშნული გარემოებებისა და სხვა საგამოცდო

<sup>4</sup> თუ სტუდენტი თვლის, რომ უცხო ენას ფლობს უფრო მაღალ დონეზე უფლებამოსილია უნივერსიტეტს მიმართოს განცხადებით უცხო ენის დონის განსაზღვრის მიზნით ამ წესის მე-8 მუხლის შესაბამისად.

პროცესისთვის შეუფერებელი ქცევის არსებობის შემთხვევაში, მაგისტრანტს პირველ ჯერზე მიეცემა შენიშვნა, ხოლო განმეორების შემთხვევაში მოიხსნება გამოცდიდან და მის მიერ შესრულებული ნაშრომი არ შეფასდება) და იწყებს საგამოცდო პროცესს.

3. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე პირის ჩარიცხვის მიზნით, უცხო ენის ცოდნის დონის დასადგენად, უნივერსიტეტი ატარებს გამოცდას. გამოცდა ტარდება ორ ეტაპად:

ა) პირველი ეტაპი - საუბრის მოდული (Speaking Module) წარმოადგენს ერთ-ერთ საკვანძო კომპონენტს. იგი ტარდება გამომცდელთან ერთი-ერთზე ინტერვიუს სახით პირისპირ ან დისტანციურად. გამომცდელი ლაპარაკის პროცესში აფასებს კანდიდატის შესაძლებლობებს. ლაპარაკის მოდულში, გამოცდის მაქსიმალური შეფასება შეადგენს 25 ქულას. მაგისტრანტის შეფასების კრიტერიუმები და გამოცდის ხანგრძლივობა განისაზღვრება ამ წესის დანართი №3 -ის შესაბამისად.

ბ) მეორე ეტაპი - ტესტი (ტარდება წერიითი ფორმით) ამოწმებს კანდიდატის სამ ძირითად ენობრივ უნარს: **მოსმენა, კითხვა და წერა**. ტესტის მაქსიმალური შეფასება შეადგენს 75 ქულას. მაგისტრანტის შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება ამ წესის დანართი №4 -ის შესაბამისად.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული უცხო ენის გამოცდის ორივე კომპონენტში (საუბრის მოდული, ტესტი) მიღებული შედეგების მინიმალური ბარიერი შეადგენს 51 ქულას.

5. გამოცდის ჩატარების, გამოცდის შედეგების გამოცხადების და სააპელაციო განაცხადის შეტანის ვადები განისაზღვრება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში რექტორის სამართლებრივი აქტის შესაბამისად.

6. პროგრამის უცხო ენის ცოდნის დამდგენი გამოცდის ჩაბარებისგან სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირი თავისუფლდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ საბაკალავრო ან/და სამაგისტრო განათლება მიღებული აქვს პროგრამაზე დადგენილი შიდა სამაგისტრო გამოცდებისთვის განსაზღვრულ უცხო ენაზე, რაც დასტურდება უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომის და დიპლომის დანართის წარმოდგენის გზით.

ბ) თუ მაგისტრანტს აქვს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებით გათვალისწინებული შიდა სამაგისტრო გამოცდისთვის დადგენილი, უცხო ენის ფლობის დონის დამადასტურებელი ერთ-ერთი შემდეგი სერტიფიკატი:

გერმანული ენა	CEFR B2: Goethe – Zertifikat B2
	Zertifikat Deutsch für den Beruf, DAF, sprachdiplom kultusministerkonferenz
	Konferenz, ZMP, Zentrale Oberstufenprüfung, Kleines/Grosses Deutsches Sprachdiplom, DSH
ინგლისური ენა	CEFR B2
	IELTS exam – 5.5 <sup>5</sup>
	BEC exam and CELS exam – Vantage <sup>6</sup>
	Cambridge exam – FCE <sup>7</sup>
	TOEIC – 785 <sup>8</sup>
	TOEFL iBT – 72 <sup>9</sup>
TOEFL ITP – 543 <sup>10</sup>	
ფრანგული ენა	Diplome de Langue Francaise (DL) (AF)
	Diplome d’Etudes en Langue Francaise DELF/B2 (CIEP)

**მუხლი 6. სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი კანდიდატის უცხო ენის კომპონენტის ცოდნის დონის განსაზღვრა**

1. სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირის უცხო ენის ცოდნის დონე დგინდება შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე, უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული უცხო ენის გამოცდის შედეგებით ან შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებით გათვალისწინებული ენობრივი კომპეტენციის საერთაშორისო სერტიფიკატის წარმოდგენის გზით.

2. გამოცდის დაწყებამდე კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის მეშვეობითაც გამომცდელი ახდენს პირის იდენტიფიცირებას, რომ კანდიდატი ნამდვილად წარმოადგენს გამოსაცდელ პირს. იდენტიფიცირების შემდეგ, გამომცდელი გამოსაცდელს აცნობს გამოცდის წესებს (გამოცდაზე დაუშვებელია: ა) საუბარი, ხმაური, ჟესტიკულაციის გამოყენება; ბ) გამოცდაზე ნაბეჭდი მასალის გამოყენება; გ)

<sup>5</sup> <https://www.cambridgeenglish.org/Images/126130-cefr-diagram.pdf>

<sup>6</sup> <https://www.cambridgeenglish.org/Images/126130-cefr-diagram.pdf>

<sup>7</sup> <https://www.cambridgeenglish.org/Images/126130-cefr-diagram.pdf>

<sup>8</sup> <https://youenglishtest.com/article/index/art/54>

<sup>9</sup> <https://www.ets.org/toefl/score-users/scores-admissions/compare>

<sup>10</sup> [https://www.ets.org/toefl\\_itp/scoring/interpret](https://www.ets.org/toefl_itp/scoring/interpret)

მობილური ტელეფონების გამოყენება დ) გამოცდის დასრულებამდე საგამოცდო სივრცის დატოვება ნებისმიერი მიზეზით, გარდა ჯანმრთელობის მდგომარეობით განპირობებულისა. საგამოცდო პერიოდის განმავლობაში, აღნიშნული გარემოებებისა და სხვა საგამოცდო პროცესისთვის შეუფერებელი ქცევის არსებობის შემთხვევაში, კანდიდატს პირველ ჯერზე მიეცემა შენიშვნა, ხოლო განმეორების შემთხვევაში მოიხსნება გამოცდიდან და მის მიერ შესრულებული ნაშრომი არ შეფასდება) და იწყებს საგამოცდო პროცესს.

3. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე პირის ჩარიცხვის მიზნით, უცხო ენის ცოდნის დონის დასადგენად, უნივერსიტეტი ატარებს გამოცდას. გამოცდა ტარდება ორ ეტაპად:

ა) პირველი ეტაპი - საუბრის მოდული (Speaking Module) წარმოადგენს ერთ-ერთ საკვანძო კომპონენტს. იგი ტარდება გამომცდელთან ერთი-ერთზე ინტერვიუს სახით პირისპირ ან დისტანციურად. გამომცდელი ლაპარაკის პროცესში აფასებს კანდიდატის შესაძლებლობებს. ლაპარაკის მოდულში, გამოცდის მაქსიმალური შეფასება შეადგენს 25 ქულას. კანდიდატის შეფასების კრიტერიუმები და გამოცდის ხანგრძლივობა განისაზღვრება ამ წესის დანართი №3 -ის შესაბამისად.

ბ) მეორე ეტაპი - ტესტი (ტარდება წერიტი ფორმით) ამოწმებს კანდიდატის სამ ძირითად ენობრივ უნარს: *მოსმენა, კითხვა და წერა*. ტესტის მაქსიმალური შეფასება შეადგენს 75 ქულას. კანდიდატის შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება ამ წესის დანართი №4 -ის შესაბამისად.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული უცხო ენის გამოცდის ორივე კომპონენტში (საუბრის მოდული, ტესტი) მიღებული შედეგების მინიმალური ბარიერი შეადგენს 80 ქულას.

5. გამოცდის ჩატარების, გამოცდის შედეგების გამოცხადების და სააკველაციო განაცხადის შეტანის ვადები განისაზღვრება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში რექტორის სამართლებრივი აქტის შესაბამისად.

6. პროგრამის უცხო ენის ცოდნის დამდგენი გამოცდის ჩაბარებისგან სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირი თავისუფლდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ საბაკალავრო ან/და სამაგისტრო განათლება მიღებული აქვს სადოქტორო პროგრამის მოთხოვნებით განსაზღვრულ უცხო ენაზე, რაც დასტურდება უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომის და დიპლომის დანართის წარმოდგენის გზით.

ბ) თუ კანდიდატს აქვს შესაბამისი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებით გათვალისწინებული უცხო ენის ფლობის დონის დამადასტურებელი ერთ-ერთი შემდეგი სერტიფიკატი:

გერმანული ენა	CEFR B2: Goethe – Zertifikat B2
	Zertifikat Deutsch für den Beruf, DAF, sprachdiplom kultusministerkonferenz
	Konferenz, ZMP, Zentrale Oberstufenprüfung, Kleines/Grosses Deutsches Sprachdiplom, DSH
ინგლისური ენა	CEFR B2
	IELTS exam – 5.5 <sup>11</sup>
	BEC exam and CELS exam – Vantage <sup>12</sup>
	Cambridge exam – FCE <sup>13</sup>
	TOEIC – 785 <sup>14</sup>
	TOEFL iBT – 72 <sup>15</sup>
ფრანგული ენა	TOEFL ITP – 543 <sup>16</sup>
	Diplome de Langue Francaise (DL) (AF) Diplome d’Etudes en Langue Francaise DELF/B2 (CIEP)

**მუხლი 7. მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი პირის მიერ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ენის დადასტურება**

1. მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი პირი, რომელმაც გამომშვებ უნივერსიტეტში სწავლის უფლება მოიპოვა ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე, ექვემდებარება ქართული/ინგლისური ენის დონის განსაზღვრას, რათა დადასტურდეს პირის მიერ პროგრამის შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევისათვის საჭირო ენობრივი კომპეტენცია.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, პროგრამის ენის ცოდნის დონის დადგენა ხორციელდება ამ წესის მე-3 მუხლის მე - 2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად.
3. შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე ენის ცოდნის დონის დადგენის გამოცდის საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის

<sup>11</sup> <https://www.cambridgeenglish.org/Images/126130-cefr-diagram.pdf>

<sup>12</sup> <https://www.cambridgeenglish.org/Images/126130-cefr-diagram.pdf>

<sup>13</sup> <https://www.cambridgeenglish.org/Images/126130-cefr-diagram.pdf>

<sup>14</sup> <https://yourenglishtest.com/article/index/art/54>

<sup>15</sup> <https://www.ets.org/toefl/score-users/scores-admissions/compare>

<sup>16</sup> [https://www.ets.org/toefl\\_itp/scoring/interpret](https://www.ets.org/toefl_itp/scoring/interpret)

უფლებას მოიპოვებენ ის პირები, რომელთა ენობრივი კომპეტენცია აღწევს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ენობრივ დონეს.

4. მობილობის წესით ქუთაისის უნივერსიტეტში ჩარიცხვის მსურველი პირი უფლებამოსილია პროგრამის ენობრივი კომპეტენცია დაადასტუროს ამ წესის მე-9 მუხლით განსაზღვრული საერთაშორისო სერტიფიკატის წარმოდგენის გზით, პროგრამისთვის განსაზღვრული ენის ცოდნის დონის შესაბამისად. საერთაშორისო სერტიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში მობილობის გზით ჩარიცხვის მსურველი პირი თავისუფლდება ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული გამოცდის ჩაბარებისგან.

**მუხლი 8. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტისთვის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული უცხო ენის ცოდნის დონის განსაზღვრა**

1. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტი, რომელიც სწავლობს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ უცხო ენას და თვლის, რომ მისი ცოდნა არ შეესაბამება ენის კონკრეტულ დონეზე სწავლას, უფლებამოსილია სწავლის დაწყებიდან არაუგვიანეს 4 (ოთხი) კვირის ვადაში მიმართოს უნივერსიტეტს უცხო ენის დონის განსაზღვრის/ცვლილების მიზნით.

2. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული უცხო ენის ცოდნის დონის განსაზღვრა ხორციელდება ენის ფლობის დონის დამდგენი ტესტით. გამოცდა ტარდება ამ წესით დადგენილი წესის შესაბამისად.

3. საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დროს, თუ სტუდენტმა საგანმანათლებლო პროგრამის უცხო ენის ცოდნის დონე დაადასტურა ამ წესის მე-9 მუხლით განსაზღვრული საერთაშორისო სერტიფიკატის მოპოვებით, ის უფლებამოსილია მიმართოს უნივერსიტეტს განცხადებით, წარმოადგინოს შესაბამისი უცხო ენის დონის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი, რის საფუძველზე, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის თანახმად, რექტორის სამართლებრივი აქტით შექმნილი კომისია იმსჯელებს სტუდენტისთვის უცხო ენის შესაბამისი დონიდან სწავლის გაგრძელების ან უცხო ენის კომპონენტისგან განთავისუფლების შესახებ.

**მუხლი 9. საერთაშორისო სერტიფიკატის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამის ენის ან საგანმანათლებლო პროგრამის უცხო ენის კომპონენტის დონესთან**

1. სტუდენტი/აბიტურიენტი უფლებამოსილია ენობრივი კომპეტენციის დონის დასადგენად წარმოადგინოს შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატი (TOEIC, TOEFL, IELTS, Cambridge Exam). სერტიფიკატით დადასტურებული ენობრივი კომპეტენციის დონე საუნივერსიტეტო სწავლების დონეს შეესაბამება შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

TOEIC <sup>17</sup>	TOEFL ITP <sup>18</sup>	TOEFL IBT <sup>19</sup>	IELTS <sup>20</sup>	Cambridge Exam <sup>21</sup>	CEFR / საუნივერსიტეტო სასწავლო კურსი
120-220	-	-	-	-	A1
225-545	337	-	-	KET	A2
550-780	460	42	4.0	PET	B1
785-940	543	72	5.5	FCE	B2
945-990	627	95	7.0	CAE	C1
-	-	114	8.0	CPE	C2

### მუხლი 10. ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესი

1. ენობრივი კომპეტენციის დონის დადგენა ხდება უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული გამოცდის მეშვეობით.
2. საგამოცდო საკითხების მომზადებას უზრუნველყოფს შესაბამისი დარგის სპეციალისტი.
3. ამ წესის მე-3, მე-7 მუხლებით განსაზღვრული გამოცდის ჩატარებას, ნაშრომების შეფასებას უზრუნველყოფს შესაბამისი დარგის სპეციალისტი/სპეციალისტები.
4. ამ წესის მე-5 და მე-6 მუხლებით განსაზღვრული გამოცდის ჩატარებას, ნაშრომის შეფასებას უზრუნველყოფს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

<sup>17</sup> <https://youenglishtest.com/article/index/art/54>

<sup>18</sup> [https://www.ets.org/toefl\\_itp/scoring/interpret](https://www.ets.org/toefl_itp/scoring/interpret)

<sup>19</sup> <https://www.ets.org/toefl/score-users/scores-admissions/compare>

<sup>20</sup> <https://www.cambridgeenglish.org/exams-and-tests/cefr/>

<sup>21</sup> <https://www.cambridgeenglish.org/exams-and-tests/cefr/>

რექტორის სამართლებრივი აქტით შექმნილი დროებითი კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან შესაბამისი დარგის სპეციალისტები. ამ წესის მე-4 და მე-8 მუხლებით განსაზღვრული გამოცდის/ტესტირების ჩატარებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი, ხოლო საგამოცდო ნაშრომების გასწორებას/შეფასებას უზრუნველყოფს შესაბამისი დარგის სპეციალისტი/სპეციალისტები.

### მუხლი 11. გამოცდის შედეგების გასაჩივრება

1. ენობრივი კომპეტენციის დასადგენი გამოცდის შედეგები ეცნობება სტუდენტს/აბიტურიენტს გამოცდის/გამოცდების ჩატარებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) დღის ვადაში.
2. სტუდენტი/აბიტურიენტი უფლებამოსილია გაასაჩივროს გამოცდის შედეგები გაცნობიდან 2 (ორი) დღის ვადაში. სააპელაციო განაცხადს განიხილავს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე რექტორის სამართლებრივი აქტით შექმნილი დროებითი კომისია. კომისიის შემადგენლობაში აუცილებლად უნდა შედიოდნენ: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი, შესაბამისი დარგის სპეციალისტი.
3. ენობრივი კომპეტენციის დადგენის გამოცდის საბოლოო შედეგები ეცნობება სტუდენტს /აბიტურიენტს სააპელაციო განაცხადის შეტანიდან არაუგვიანეს 3 (სამი) დღის ვადაში.
4. ამ მუხლით განსაზღვრული გამოცდის შედეგების გამოქვეყნების, გასაჩივრების ვადები არ ვრცელდება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩარიცხვის მსურველ პირზე. აღნიშნული შედეგების გამოქვეყნების, გასაჩივრების ვადები განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ცალკეული სამართლებრივი აქტით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე.

### მუხლი 12. დასკვნითი დებულებები

1. საერთაშორისო მობილობის პროგრამაში მონაწილეობის მიზნით, სტუდენტისთვის ან პერსონალისთვის მოთხოვნილი უცხო ენის ცოდნის დონის დადგენის წესი განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის სამართლებრივი აქტით დამტკიცებული „საერთაშორისო მობილობის პროგრამაში მონაწილეობის წესის“ შესაბამისად.
2. წინამდებარე წესი მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორის სამართლებრივი აქტის საფუძველზე.
3. წინამდებარე წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.



გამოცდის პირველი ეტაპის - საუბრის ნაწილის შეფასების კრიტერიუმები

ქულა	ზოგადი აღწერილობა	თავისუფლად მეტყველება	ლექსიკურ-გრამატიკური გამართულობა	სასაუბრო თემის გავრცობა
71-80	პასუხი დავალების მოთხოვნების შესატყვისია, მცირე შეცდომებით. საუბარი გასაგებია და წარმოადგენს ერთიან, გამართულ დისკუსს.	არსებითად, თავისუფლად საუბარი. მეტყველება მკაფიოა. შეიძლება მოიცავდეს მცირე შეცდომებს ან დაბრკოლებებს გამოთქმის ან ინტონაციის ფორმებთან მიმართებით, რაც საუბრის საერთო აღქმას ზიანს არ აყენებს.	პასუხი გრამატიკისა და ლექსიკის ეფექტური გამოყენების დემონსტრირებას წარმოადგენს. ის გამოხატავს საკმაოდ მაღალი ხარისხის ავტომატიზმს, ძირითადი და რთული სტრუქტურების კარგი ფლობით. შეინიშნება მცირე (ან სისტემური) შეცდომები, რომლებიც აზრის გამოხატვას არ აბუნდოვანებენ.	პასუხი სრულია და აკმაყოფილებს დავალების მოთხოვნებს. ზოგადად, ის კარგად ჩამოყალიბებული და გამართულია. იდეებს შორის კავშირები ნათელია (ან იდეების ნათელი თანმიმდევრობა).
61-70	პასუხი, მეტწილად, დავალების მოთხოვნების შესატყვისია, მცირე შეცდომებით. საუბარი გასაგებია და წარმოადგენს მეტწილად ერთიან, გამართულ დისკუსს.	არსებითად, თავისუფლად საუბარი. მეტყველება მეტწილად მკაფიოა. შეიძლება მოიცავდეს მცირე შეცდომებს ან დაბრკოლებებს გამოთქმის ან ინტონაციის ფორმებთან მიმართებით, რაც საუბრის საერთო აღქმას ზიანს არ აყენებს.	პასუხი, მეტწილად, გრამატიკისა და ლექსიკის ეფექტური გამოყენების დემონსტრირებას წარმოადგენს. ის გამოხატავს საკმაოდ მაღალი ხარისხის ავტომატიზმს, ძირითადი და რთული სტრუქტურების კარგი ფლობით. შეინიშნება მცირე (ან სისტემური) შეცდომები, რომლებიც აზრის გამოხატვას არ აბუნდოვანებენ.	პასუხი მეტწილად სრულია და აკმაყოფილებს დავალების მოთხოვნებს. ის, ზოგადად, კარგად ჩამოყალიბებული და გამართულია. იდეებს შორის კავშირები მეტწილად ნათელია (ან იდეების ნათელი თანმიმდევრობა).
51-60	პასუხი დავალებას შესაბამისად პასუხობს, თუმცა, სრულად სრულად ჩამოყალიბებული არ არის. ზოგადად, პასუხი გასაგები და მთლიანია, თუმცა 2-3 შეცდომა იდეების გამოხატვისას შესამჩნევია.	მეტყველება, ზოგადად, ნათელია, გამოხატავს საკმაოდ თავისუფალი. თუმცა, მცირე დაბრკოლებები გამოთქმის, ინტონაციის და ტემპის კუთხით შესამჩნევია და დროდადრო, შესაძლოა, მსმენელის ძალისხმევას	პასუხი გრამატიკისა და ლექსიკის საკმაოდ ავტომატური, ეფექტური გამოყენებისა და შესაბამისი იდეების საკმაოდ გამართული გამოხატვის დემონსტრირებას წარმოადგენს. პასუხი,	პასუხი მეტწილად გამართული და ერთიანია და შესაბამის იდეებს/ინფორმაციას გადმოსცემს. საერთო განვითარება გარკვეულწილად შეზღუდულია;

		<p>მოითხოვდეს. ამასთანავე, ეს საუბრის საერთო აღქმას ზიანს არ აყენებს.</p>	<p>შესაძლოა, ლექსიკური და გრამატიკული სტრუქტურების არაზუსტი გამოყენების რამდენიმე შემთხვევასაც მოიცავდეს ან გარკვეულწილად შეზღუდული იყოს ამ სტრუქტურების გამოყენებისას. ამ ფაქტორმა, შესაძლოა, გავლენა მოახდინოს თავისუფლად მეტყველებაზე, თუმცა, კომუნიკაციის გზავნილის გადაცემას მნიშვნელოვნად არ აფერხებს.</p>	<p>როგორც წესი, აკლია სისრულე ან სპეციფიკურობა. იდეებს შორის მიმართებები ზოგჯერ მაშინვე ცხადი არ არის.</p>
<p><b>41-50</b></p>	<p>პასუხი დავალებას შესაბამისად პასუხობს, თუმცა, სრულად ჩამოყალიბებული არ არის. ზოგადად, პასუხი გასაგები და მთლიანია, თუმცა 5-6 შესამჩნევი შეცდომა იდეების გამოხატვისას შესამჩნევია.</p>	<p>მეტყველება გარკვეულწილად ნათელია, გამოხატვა საკმაოდ თავისუფალი, თუმცა, მცირე დაბრკოლებები გამოთქმის, ინტონაციის და ტემპის კუთხით შესამჩნევია და დროდადრო, შესაძლოა, მსმენელის გარკვეულ ძალისხმევას მოითხოვდეს. ამასთანავე ეს საუბრის საერთო აღქმას მნიშვნელოვნად არ აფერხებს .</p>	<p>პასუხი გრამატიკისა და ლექსიკის მეტ-ნაკლებად ავტომატური, ეფექტური გამოყენებისა და შესაბამისი იდეების საკმაოდ გამართული გამოხატვის დემონსტრირებას წარმოადგენს. პასუხი, შესაძლოა, ლექსიკური და გრამატიკული სტრუქტურების არაზუსტი გამოყენების 5-6 შემთხვევას მოიცავდეს ან გარკვეულწილად შეზღუდული იყოს ამ სტრუქტურების გამოყენებისას. ამ ფაქტორმა, შესაძლოა, გავლენა მოახდინოს თავისუფლად მეტყველებაზე, თუმცა, კომუნიკაციის გზავნილის გადაცემას მნიშვნელოვნად არ აფერხებს.</p>	<p>პასუხი გარკვეულწილად გამართული და ერთიანია და შესაბამის იდეებს/ინფორმაციას გადმოსცემს. საერთო განვითარება გარკვეულწილად შეზღუდულია, როგორც წესი, აკლია სისრულე ან სპეციფიკურობა. იდეებს შორის მიმართებები ზოგჯერ მაშინვე ცხადი არ არის.</p>

<p><b>31-40</b></p>	<p>პასუხი დავალებას პასუხობს, მაგრამ საკითხის განვითარება შეზღუდულია. მეტყველება გასაგებია, თუმცა, გადმოცემასთან და/ან საერთო გამართულობასთან დაკავშირებული პრობლემები შესამჩნევია. აზრი ზოგჯერ ბუნდოვანია.</p>	<p>მეტყველება ძირითადად გასაგებია, თუმცა, არამკაფიო გამოთქმის, შეუსაბამო ინტონაციის ან არამწყობრი რიტმის გამო მსმენელს საუბრის გასაგებად ძალისხმევა სჭირდება. აზრი ზოგჯერ ბუნდოვანია.</p>	<p>პასუხი გრამატიკის და ლექსიკის შეზღუდული გამოყენებისა და კონტროლის დემონსტრირებაა. ეს შეზღუდვები ხშირად იდეათა სრულ გამოხატვას ხელს უშლის. მეტწილად, მხოლოდ წინადადების ბაზისური სტრუქტურები გამოიყენება წარმატებით და თავისუფლად გამოიხატება მეტყველებისას. სტრუქტურები და ლექსიკა შესაძლოა გამოხატავდეს, ძირითადად, მარტივ (მოკლე) და/ან ზოგად აზრებს მათ შორის მარტივი და არამკაფიო კავშირებით.</p>	<p>პასუხი დავალებასთან კავშირშია, თუმცა გამოხატულ იდეათა რაოდენობა ან იდეათა განვითარება შეზღუდულია. მეტწილად, მარტივი იდეებია გამოხატული, რომელთა შემდგომი გაღრმავება შეზღუდულია (დეტალებისა და კონკრეტულის კუთხით). ზოგჯერ, შესაბამისი სასაუბრო მასალა შესაძლოა ბუნდოვნად იყოს გამოხატული ან აზრი მეორდებოდეს. იდეებს შორის კავშირი მკაფიო არ არის.</p>
<p><b>21-30</b></p>	<p>პასუხი დავალებას პასუხობს, მაგრამ საკითხის განვითარება მნიშვნელოვნად შეზღუდულია. მეტყველება მეტწილად გასაგებია, თუმცა გადმოცემასთან და/ან საერთო გამართულობასთან დაკავშირებული პრობლემები შესამჩნევია. აზრი ხშირად ბუნდოვანია.</p>	<p>მეტყველება ძირითადად გასაგებია, თუმცა ხშირად არამკაფიო გამოთქმის, შეუსაბამო ინტონაციის ან არამწყობრი რიტმის გამო, მსმენელს საუბრის გასაგებად ძალისხმევა სჭირდება. აზრი ხშირად ბუნდოვანია.</p>	<p>პასუხი გრამატიკის და ლექსიკის მნიშვნელოვნად შეზღუდული გამოყენებისა და კონტროლის დემონსტრირებაა. ეს შეზღუდვები ხშირად იდეათა სრულ გამოხატვას ხელს მნიშვნელოვნად უშლის. მეტწილად, მხოლოდ წინადადების ბაზისური სტრუქტურები გამოიყენება წარმატებით და თავისუფლად გამოიხატება მეტყველებისას. სტრუქტურები და ლექსიკა შესაძლოა გამოხატავდეს ძირითადად მარტივ (მოკლე) და/ან ზოგად აზრებს მათ შორის მარტივი და არამკაფიო კავშირებით.</p>	<p>პასუხი დავალებასთან გარკვეულწილად კავშირშია, თუმცა გამოხატულ იდეათა რაოდენობა ან იდეათა განვითარება ძალიან შეზღუდულია. მეტწილად, მარტივი იდეებია გამოხატული, რომელთა შემდგომი გაღრმავება შეზღუდულია (დეტალებისა და კონკრეტულის კუთხით). ზოგჯერ შესაბამისი სასაუბრო მასალა შესაძლოა ბუნდოვნად იყოს გამოხატული ან აზრი მეორდებოდეს. იდეებს შორის კავშირი მკაფიო არ არის.</p>
<p><b>11-20</b></p>	<p>პასუხი ძალიან შეზღუდულია შინაარსის და/ან ერთიანობის თვალსაზრისით ან მხოლოდ მინიმალურად არის დაკავშირებული</p>	<p>გამოთქმასთან, მახვილთან და ინტონაციასთან დაკავშირებული ხშირი პრობლემები მოითხოვს მსმენელის</p>	<p>გრამატიკისა და ლექსიკის გამოყენება მნიშვნელოვნად ზღუდავს ან აფერხებს იდეათა გამოხატვას და მათ შორის კავშირების</p>	<p>შესაბამისი შინაარსი შეზღუდულადაა გამოხატული. პასუხი ძალიან მარტივი იდეების გამოხატვას არ სცდება. მოსაუბრეს</p>

	დავალებასთან ან მეტყველება მეტწილად გაუგებარია.	მნიშვნელოვან ძალისხმევას. საუბარი წყვეტილი, ფრაგმენტული ან ტელეგრაფიულია; შეიმჩნევა ხშირი პაუზები და შეყოვნებები.	დამყარებას. ზოგიერთი ნაკლები სირთულის პასუხი, შესაძლოა, ძირითადად წინასწარ დამუშავებულ ან შაბლონურ ენობრივ ერთეულებს ეყრდნობოდეს.	არ შეუძლია გაბმულად იმეტყველოს დავალების შესასრულებლად და შესაძლოა, ძირითადად, მინიშნების გამეორებაზე იყოს დამოკიდებული.
<b>1-10</b>	პასუხი ძალიან შეზღუდულია შინაარსის და/ან ერთიანობის თვალსაზრისით ან თითქმის არ არის დაკავშირებული დავალებასთან ან მეტყველება მეტწილად გაუგებარია.	გამოთქმასთან, მახვილთან და ინტონაციასთან დაკავშირებული ხშირი პრობლემები მოითხოვს მსმენელის მნიშვნელოვან ძალისხმევას. საუბარი წყვეტილი, ფრაგმენტული ან ტელეგრაფიულია; შეიმჩნევა მუდმივი პაუზები და შეყოვნებები.	გრამატიკისა და ლექსიკის გამოყენება მნიშვნელოვნად ზღუდავს ან აფერხებს იდეათა გამოხატვას და მათ შორის კავშირების დამყარებას. ზოგიერთი ნაკლები სირთულის პასუხი, შესაძლოა, ძირითადად წინასწარ დამუშავებულ ან შაბლონურ ენობრივ ერთეულებს ეყრდნობოდეს.	შესაბამისი შინაარსი შეზღუდულადაა გამოხატული. პასუხი ძალიან მარტივი იდეების გამოხატვას არ სცდება. მოსაუბრეს არ შეუძლია გაბმულად იმეტყველოს დავალების შესასრულებლად და შესაძლოა, ძირითადად, მინიშნების გამეორებაზე იყოს დამოკიდებული.
<b>0</b>	მოსაუბრე არ ცდილობს, რომ უპასუხოს ან პასუხი თემასთან არ არის დაკავშირებული.			

გამოცდის მეორე ეტაპის - ესესე შეფასების კრიტერიუმები

ქულა	დავალების შესრულება
16-20	<ul style="list-style-type: none"> <li>ჩანს თემისადმი და დავალებისადმი ეფექტური მიდგომა.</li> <li>ესეი კარგად ორგანიზებული და განვითარებულია, გამოყენებულია შესაბამისი არგუმენტაცია, მაგალითები და/ან დეტალები.</li> <li>ესეი აჩვენებს ერთიანობას, თანმიმდევრობასა და სისტემურობას. მასში ჩანს ენის გამოყენების უნარი, დემონტრირება ხდება სინტაქსური სხვადასხვაობისა და ლექსიკის სისტემურად გამოყენების უნარის, თუმცა, ასევე შეიძლება შეინიშნებოდეს მცირე ლექსიკური და გრამატიკული შეცდომები.</li> </ul>
11-15	<ul style="list-style-type: none"> <li>თემასთან და დავალებასთან მიდგომა კარგია, თუმცა რამდენიმე პუნქტი შესაძლოა სრულად შესრულებული არ იყოს.</li> <li>ზოგადად, ესეი კარგად ორგანიზებული და განვითარებულია, გამოყენებულია შესაბამისი და საკმარისი არგუმენტაცია, მაგალითები და/ან დეტალები.</li> <li>ესეიში ჩანს ერთიანობა, თანმიმდევრულობა და სისტემურობა, თუმცა, ზოგჯერ შესაძლოა მოიცავდეს გადაჭარბებას, გადახვევას ან ბუნდოვან კავშირებს.</li> <li>ესეიში ჩანს ენის გამოყენების უნარ-ჩვევა, სინტაქსური სხვადასხვაობისა და ლექსიკის გამოყენების უნარი, თუმცა, შეინიშნება შესამჩნევი მცირე შეცდომები სტრუქტურაში, სიტყვის ფორმების გამოყენებაში, რაც მნიშვნელობას არ აზიანებს.</li> </ul>
6-10	<ul style="list-style-type: none"> <li>ესეიში ჩანს თემისა და დავალებისადმი მიდგომა, ჩამოყალიბებული ახსნით, მაგალითებით და/ან დეტალებით.</li> <li>ჩანს ერთიანობა, თანმიმდევრულობა და სისტემურობა, თუმცა იდეათა შორის კავშირი დროდადრო ბუნდოვანია.</li> <li>შესაძლოა, ჩანდეს შეუსაბამოები წინადადების ფორმირებასა და სიტყვათა შერჩევაში, რაც შესაძლოა გამოიხატოს სიციხადის ნაკლებობასა და დროდადრო ბუნდოვან მნიშვნელობაში.</li> <li>შესაძლოა გამოხატავდეს ზუსტ, მაგრამ შეზღუდული მოცულობის სინტაქსურ სტრუქტურებსა და ლექსიკას.</li> </ul>
1-5	<p>ამ ეტაპზე, ესეის ახასიათებს შემდეგი მნიშვნელოვანი სისუსტეები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>მნიშვნელოვანი ხასიათის სტრუქტურული პრობლემები ან ესეის არარელევანტური განვითარება.</li> <li>მცირე კონკრეტიკა ან დეტალების არარსებობა, შეუსატყვისი მაგალითები ან პასუხები.</li> <li>მნიშვნელოვანი და ხშირი შეცდომები წინადადების სტრუქტურაში ან გამოყენებაში.</li> </ul>
0	დავალება არ არის შესრულებული ზემოთ ნახსენები კრიტერიუმების მიხედვით ან საერთოდ არ შესრულებულა.

დანართი №3

სამაგისტრო / სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირის უცხო ენის  
გამოცდის პირველი ეტაპის შეფასების კრიტერიუმები

**საუბრის კომპეტენცია**

საუბრის კომპეტენცია ფასდება აპლიკანტისთვის B2 დონის შესაბამისი 5 შესაბამისი კითხვისა და სადისკუსიო თემის შეთავაზებით. საუბრის კომპეტენციის შემმოწმებელი გამოცდის ხანგრძლივობაა 15 წუთი.

ქულა	ზოგადი აღწერილობა	თავისუფლად მეტყველება	ლექსიკურ-გრამატიკური გამართულობა	სასაუბრო თემის გავრცობა
21-25	პასუხი დავალების მოთხოვნების შესატყვისია, მცირე შეცდომებით. საუბარი გასაგებია და წარმოადგენს ერთიან, გამართულ დისკუსს.	არსებითად, თავისუფლად საუბარი. მეტყველება მკაფიოა. შეიძლება მოიცავდეს მცირე შეცდომებს ან დაბრკოლებებს გამოთქმის ან ინტონაციის ფორმებთან მიმართებით, რაც საუბრის საერთო აღქმას ზიანს არ აყენებს.	პასუხი გრამატიკისა და ლექსიკის ეფექტური გამოყენების დემონსტრირებას წარმოადგენს. ის გამოხატავს საკმაოდ მაღალი ხარისხის ავტომატიზმს, ძირითადი და რთული სტრუქტურების კარგი ფლობით. შეინიშნება მცირე (ან სისტემური) შეცდომები, რომლებიც აზრის გამოხატვას არ აბუნდოვანებენ.	პასუხი სრულია და აკმაყოფილებს დავალების მოთხოვნებს. ზოგადად, ის კარგად ჩამოყალიბებული და გამართულია. იდეებს შორის კავშირები ნათელია (ან იდეების ნათელი თანმიმდევრობა).
16-20	პასუხი, მეტწილად, დავალების მოთხოვნების შესატყვისია, მცირე შეცდომებით. საუბარი გასაგებია და წარმოადგენს მეტწილად ერთიან, გამართულ დისკუსს.	არსებითად, თავისუფლად საუბარი. მეტყველება მეტწილად მკაფიოა. შეიძლება მოიცავდეს მცირე შეცდომებს ან დაბრკოლებებს გამოთქმის ან ინტონაციის ფორმებთან მიმართებით, რაც საუბრის საერთო აღქმას ზიანს არ აყენებს.	პასუხი, მეტწილად, გრამატიკისა და ლექსიკის ეფექტური გამოყენების დემონსტრირებას წარმოადგენს. ის გამოხატავს საკმაოდ მაღალი ხარისხის ავტომატიზმს, ძირითადი და რთული სტრუქტურების კარგი ფლობით. შეინიშნება მცირე (ან სისტემური) შეცდომები, რომლებიც აზრის გამოხატვას არ აბუნდოვანებენ.	პასუხი მეტწილად სრულია და აკმაყოფილებს დავალების მოთხოვნებს. ის, ზოგადად, კარგად ჩამოყალიბებული და გამართულია. იდეებს შორის კავშირები მეტწილად ნათელია (ან იდეების ნათელი თანმიმდევრობა).

<p><b>11-15</b></p>	<p>პასუხი დავალებას შესაბამისად პასუხობს, თუმცა, სრულად სრულად ჩამოყალიბებული არ არის. ზოგადად, პასუხი გასაგები და მთლიანია, თუმცა 2-3 შეცდომა იდეების გამოხატვისას შესამჩნევია.</p>	<p>მეტყველება, ზოგადად, ნათელია, გამოხატვა საკმაოდ თავისუფალი. თუმცა, მცირე დაბრკოლებები გამოთქმის, ინტონაციის და ტემპის კუთხით შესამჩნევია და დროდადრო, შესაძლოა, მსმენელის ძალისხმევას მოითხოვდეს. ამასთანავე, ეს საუბრის საერთო აღქმას ზიანს არ აყენებს.</p>	<p>პასუხი გრამატიკისა და ლექსიკის საკმაოდ ავტომატური, ეფექტური გამოყენებისა და შესაბამისი იდეების საკმაოდ გამართული გამოხატვის დემონსტრირებას წარმოადგენს. პასუხი, შესაძლოა, ლექსიკური და გრამატიკული სტრუქტურების არაზუსტი გამოყენების რამდენიმე შემთხვევასაც მოიცავდეს ან გარკვეულწილად შეზღუდული იყოს ამ სტრუქტურების გამოყენებისას. ამ ფაქტორმა, შესაძლოა, გავლენა მოახდინოს თავისუფლად მეტყველებაზე, თუმცა, კომუნიკაციის გზავნილის გადაცემას მნიშვნელოვნად არ აფერხებს.</p>	<p>პასუხი მეტწილად გამართული და ერთიანია და შესაბამის იდეებს/ინფორმაციას გადმოსცემს. საერთო განვითარება გარკვეულწილად შეზღუდულია; როგორც წესი, აკლია სისრულე ან სპეციფიკურობა. იდეებს შორის მიმართებები ზოგჯერ მაშინვე ცხადი არ არის.</p>
<p><b>6-10</b></p>	<p>პასუხი დავალებას შესაბამისად პასუხობს, თუმცა, სრულად ჩამოყალიბებული არ არის. ზოგადად, პასუხი გასაგები და მთლიანია, თუმცა 5-6 შესამჩნევი შეცდომა იდეების გამოხატვისას შესამჩნევია.</p>	<p>მეტყველება გარკვეულწილად ნათელია, გამოხატვა საკმაოდ თავისუფალი, თუმცა, მცირე დაბრკოლებები გამოთქმის, ინტონაციის და ტემპის კუთხით შესამჩნევია და დროდადრო, შესაძლოა, მსმენელის გარკვეულ ძალისხმევას მოითხოვდეს. ამასთანავე ეს საუბრის საერთო აღქმას მნიშვნელოვნად არ აფერხებს.</p>	<p>პასუხი გრამატიკისა და ლექსიკის მეტ-ნაკლებად ავტომატური, ეფექტური გამოყენებისა და შესაბამისი იდეების საკმაოდ გამართული გამოხატვის დემონსტრირებას წარმოადგენს. პასუხი, შესაძლოა, ლექსიკური და გრამატიკული სტრუქტურების არაზუსტი გამოყენების 5-6 შემთხვევას მოიცავდეს ან გარკვეულწილად შეზღუდული იყოს ამ სტრუქტურების გამოყენებისას. ამ ფაქტორმა, შესაძლოა, გავლენა მოახდინოს თავისუფლად მეტყველებაზე, თუმცა, კომუნიკაციის გზავნილის გადაცემას მნიშვნელოვნად არ აფერხებს.</p>	<p>პასუხი გარკვეულწილად გამართული და ერთიანია და შესაბამის იდეებს/ინფორმაციას გადმოსცემს. საერთო განვითარება გარკვეულწილად შეზღუდულია, როგორც წესი, აკლია სისრულე ან სპეციფიკურობა. იდეებს შორის მიმართებები ზოგჯერ მაშინვე ცხადი არ არის.</p>

<p><b>1-5</b></p>	<p>პასუხი დავალებას პასუხობს, მაგრამ საკითხის განვითარება შეზღუდულია. მეტყველება გასაგებია, თუმცა, გადმოცემასთან და/ან საერთო გამართულობასთან დაკავშირებული პრობლემები შესამჩნევია. აზრი ზოგჯერ ბუნდოვანია.</p>	<p>მეტყველება ძირითადად გასაგებია, თუმცა, არამკაფიო გამოთქმის, შეუსაბამო ინტონაციის ან არამწყობრი რიტმის გამო მსმენელს საუბრის გასაგებად ძალისხმევა სჭირდება. აზრი ზოგჯერ ბუნდოვანია.</p>	<p>პასუხი გრამატიკის და ლექსიკის შეზღუდული გამოყენებისა და კონტროლის დემონსტრირებაა. ეს შეზღუდვები ხშირად იდეათა სრულ გამოხატვას ხელს უშლის. მეტწილად, მხოლოდ წინადადების ბაზისური სტრუქტურები გამოიყენება წარმატებით და თავისუფლად გამოიხატება მეტყველებისას. სტრუქტურები და ლექსიკა შესაძლოა გამოხატავდეს, ძირითადად, მარტივ (მოკლე) და/ან ზოგად აზრებს მათ შორის მარტივი და არამკაფიო კავშირებით.</p>	<p>პასუხი დავალებასთან კავშირშია, თუმცა გამოხატულ იდეათა რაოდენობა ან იდეათა განვითარება შეზღუდულია. მეტწილად, მარტივი იდეებია გამოხატული, რომელთა შემდგომი გაღრმავება შეზღუდულია (დეტალებისა და კონკრეტულის კუთხით). ზოგჯერ, შესაბამისი სასაუბრო მასალა შესაძლოა ბუნდოვნად იყოს გამოხატული ან აზრი მეორედებოდეს. იდეებს შორის კავშირი მკაფიო არ არის.</p>
<p><b>0</b></p>	<p>მოსაუბრე არ ცდილობს რომ უპასუხოს ან პასუხი თემასთან არ არის დაკავშირებული.</p>			



**დანართი №4**

**სამაგისტრო / სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირის უცხო ენის გამოცდის მეორე ეტაპის შეფასების კრიტერიუმები**

**კითხვის კომპეტენცია**

კითხვის დავალების შემთხვევაში მოცემულია ტექსტი და ტექსტის გასაგებად საჭირო 10 დახურული კითხვა. შეფასება - მაქსიმუმ 25 ქულა. ერთი სწორი პასუხის შეფასებაა 2.5 ქულა.

**მოსმენის კომპეტენცია**

მოსმენის კომპონენტი მოიცავს დახურული კითხვების მქონე ორ დავალებას. ორივე დავალების შეფასების ჯამი - მაქსიმუმ 25 ქულა.

პირველი დავალების შემთხვევაში, აპლიკანტი ერთხელ მოისმენს შესაბამის დავალებას. შეფასება- მაქსიმუმ 10 ქულა.

მეორე დავალების შემთხვევაში, აპლიკანტი ორჯერ მოისმენს შესაბამის დავალებას. შეფასება- მაქსიმუმ 15 ქულა.

**წერის კომპეტენცია**

წერის კომპონენტი მოიცავს ესეის დავალებას. მაგისტრანტი მოცემული რამდენიმე ვარიანტიდან ირჩევს ერთ ესეის, რომელიც 150-180 სიტყვისგან უნდა შედგებოდეს. ესეის შეფასება - მაქსიმუმ 25 ქულა.

**ესეის შეფასების კრიტერიუმები**

ქულა	შინაარსი	საკომუნიკაციო მიზნები	ორგანიზება	ენობრივი მხარე
21-25 ქულა	ესეის შინაარსი შეესაბამება დავალებას.  სამიზნე აუდიტორია სრულადაა ინფორმირებული.	ეფექტურადაა გამოყენებული საკომუნიკაციო სტრატეგიები, მკითხველის ყურადღების მისაქცევად და კომპლექსური იდეების გადმოსაცემად.	ტექსტი კარგად არის ორგანიზებული, ეფექტურად არის გამოყენებული ტექსტის ორგანიზებისთვის საჭირო კონსტრუქციები.	გამოყენებულია შესაბამისი და მრავალფეროვანი ლექსიკა, მათ შორის ნაკლებად გამოყენებადი და არაშაბლონური სიტყვები. სწორად და მოქნილად არის გამოყენებული სხვადასხვა მარტივი და რთული გრამატიკული ფორმები. შეიმჩნევა რამდენიმე შეცდომა, რომლებიც ტექსტის საერთო საკომუნიკაციო ფუნქციაზე გავლენას ვერ ახდენენ.
15-20 ქულა	ესეის შინაარსი შეესაბამება დავალებას.  სამიზნე აუდიტორია ძირითადად ინფორმირებულია.	კარგადაა გამოყენებული საკომუნიკაციო სტრატეგიები მკითხველის ყურადღების მისაქცევად და კომპლექსური იდეების გადმოსაცემად.	ტექსტი ძირითადად კარგად არის ორგანიზებული, ზუსტად არის გამოყენებული ტექსტის ორგანიზებისთვის საჭირო კონსტრუქციები.	გამოყენებულია შესაბამისი და მეტ-ნაკლებად მრავალფეროვანი ლექსიკა, ზოგჯერ ნაკლებად გამოყენებადი და არაშაბლონური სიტყვები. სწორად არის გამოყენებული სხვადასხვა მარტივი და რთული გრამატიკული ფორმები. შეიმჩნევა რამდენიმე შეცდომა, რომლებიც არსებით გავლენას ტექსტის

				საერთო საკომუნიკაციო ფუნქციაზე არ ახდენენ.
11-15 ქულა	ესეის შინაარსი მეტ-ნაკლებად შეესაბამება დავალებას.  სამიზნე აუდიტორია ინფორმირებულია.	გამოყენებულია საკომუნიკაციო სტრატეგიები მკითხველის ყურადღების მისაქცევად და კომპლექსური იდეების გადმოსაცემად.	ტექსტი მეტ-ნაკლებად ორგანიზებულია, გამოყენებულია ტექსტის ორგანიზებისთვის საჭირო კონსტრუქციები.	შესაბამისად არის გამოყენებული ყოველდღიური ლექსიკა, ზოგჯერ შეცდომით არის გამოყენებული ნაკლებად გავრცელებული სიტყვები. ძირითადად ზუსტადაა გამოყენებული მარტივი და ზოგჯერ რთული გრამატიკული ფორმები. დაშვებული შეცდომები არსებითად არ ცვლიან ესეის საკომუნიკაციო მიზნებს.
6-10 ქულა	ესეის შინაარსი მეტ-ნაკლებად შეესაბამება დავალებას.  სამიზნე აუდიტორია ინფორმირებულია.	გამოყენებულია საკომუნიკაციო სტრატეგიები მკითხველის ყურადღების მისაქცევად და მარტივი იდეების გადმოსაცემად.	ტექსტი ნაკლებად ორგანიზებულია, ნაკლებადაა გამოყენებული ტექსტის ორგანიზებისთვის საჭირო კონსტრუქციები.	გამოყენებულია ყოველდღიური ლექსიკა. შეცდომითაა გამოყენებული მარტივი და ზოგჯერ რთული გრამატიკული ფორმები. დაშვებული შეცდომები არსებითად არ ცვლიან ესეის საკომუნიკაციო მიზნებს.
1-5 ქულა	ესეი არ შეესაბამება დავალების ჩანს დავალების მოთხოვნების ვერ გაგება.	გამოყენებულია საკომუნიკაციო სტრატეგიები მარტივი იდეების გადმოსაცემად.	ტექსტი ნაკლებად ორგანიზებულია, ტექსტის ორგანიზებისთვის გამოყენებულია მინიმალური კონსტრუქციები.	გამოყენებულია ყოველდღიური ლექსიკა, ზოგჯერ გადაჭარბებით ან ერთი და იგივე სიტყვის ხშირი გამოყენებით. გამოყენებულია რამდენიმე გრამატიკული ფორმა. ზოგჯერ რთულია ესეის საკომუნიკაციო მიზნების გაგება.
0 ქულა	დავალება არ არის შესრულებული ან საერთოდ არ შეესატყვისება ზემოთ მოცემულ მოთხოვნებს.			